ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N4256-10-494

ქ. თბილისი 30 დეკემბერი 2016 წელი

შპს „მაიფონი" შემდგომში „მიმწოდებელი" (ს/ნ205270473, ქ. თბილისი ალანიდის ქუჩა #23, ფაქტიური მისამართი თბილისი ჭავჭავაძის გამზირი #23/23ა), წარმოდგენილი დირექტორის ქეთევან ჩლაიძის სახით, და შპს „თბილსერვის ჯგუფი" (ს/ნ206267494, მის: ქ. თბილისი კახეთის გზატკეცილი #67) შემდგომში „შემსყიდველი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან ჯღარკავას სახით, ორივე ერთად მხარე-მხარეები საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ზხელშეკრულებას შემდეგზე:

1. „ხელშეკრულების" საგანი

1.1.„ხელშეკრულების" საფუძველზე, მისი პირობების და ტარიფების გათვალისწინებით, „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" უწევს „მომსახურებას". კონკრეტული „მომსახურების" დეტალური აღწერა და შესაბამისი ტარიფები მოცემულია „ხელშეკრულების" დანართების სახით, რომელიც წარმოადგენს „ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილს (CPV 64200000).

1.2 „მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურება შეესაბამება ყველა მოქმედ თანამედროვე სტანდარტებს და ნორმებს.

1.3 „მიმწოდებელი" აცხადებს, რომ მისაწოდებელი მომსახურება იქნება უნაკლო.

2. „მომსახურების" ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. „მიმწოდებელი" მიერ „შემსყიდველისათვის" მიწოდებული „მომსახურების" ღირებულება და გადახდის პირობები განისაზღვრება „ხელშეკრულებითა" და მისი დანართებით.

2.2. ანგარიშსწორება წარმოებს ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, „მიმწოდებელი" ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

2.3. წინამდებარე „ხელშეკრულების" მიზნებისათვის „შემსყიდველის" მიერ თანხა გადახდილად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ჩაირიცხება/აისახება „მიმწოდებელი" საბანკო ანგარიშზე.

2.4 შესასყიდო ობიექტის ღირებულება დაიფარება მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმებიდან 10 დღის ვადაში

2.5 შესასყიდი მომსახურების ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვაუტაში;

2.6. მოსაწოდებელი მომსახურების საორიენტაციო ღირებულება (ხელშეკრულების ფასი) განისაზღვრება 4 000,00 (ოთხი ათასი) ლარით.

2.7 ფაქტიურად გაწეული მომსახურება ფორმდება მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით;

2.8 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „მიმწოდებელი" ვალდებულია წარმოუდგინოს „შემსყიდველს" საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3. „მომსახურების" შეზღუდვა, შეწყვეტა, აღდგენა

3.1.მომსახურების შეზღუდვა, შეწყვეტა და აღდგენა ხორციელდება წინამდებარე „ხელშეკრულების", მისი დანართების შესაბამისად და მათი დაცვით.

3.2. „შემსყიდველის" მიერ „მიმწოდებლისათვის" გადასახდელი ნებისმიერი თანხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის ან/და „ხელშეკრულებით" განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში, „მიმწოდებელი" უფლებამოსილია „ხელშეკრულების" პირობების შესაბამისად, შეუზღუდოს ან/და შეუწყვიტოს „შემსყიდველს" მომსახურება,

3.3. „შემსყიდველი" უფლებამოსილია მოითხოვოს „მომსახურების" შეწყვეტა, ხოლო „მიმწოდებელი" თავის მხრივ, ვალდებულია შეუწყვიტოს „შემსყიდველს" „მომსახურება", ამ უკანასკნელის

წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც ხელმოწერილი სახით წარედგინება „მიმწოდებელს“.

4. დაზიანების აღმოფხვრა და ვადები

4.1.დაზიანების აღმოფხვრა „მიმწოდებლის“ მხრიდან ხორციელდება, „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული წესით შეტყობინების დაფიქსირებიდან არუმეტეს 3 კალენდარული დღისა. ხოლო თუ აღნიშნული ვადა არ არის საკმარის დაზიანების აღმოსაფხვრელად „მიმწოდებელი“ დაუყოვნებლი აცნობებს აბონეტს ხელშეკრულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული წესით, ხოლო ხარვეზის აღმოფხვრა არ უნდა აღემატებოდეს 5 კალენდარულ დრეს.

4.2. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევაში განახორციელოს გეგმიური და არაგეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები, რასაც შედეგობრივად შეიძლება სდევდეს „შემსყიდველისათვის“ მომსახურების გაწევის შეფერხება. აღნიშნულის თაობაზე „შემსყიდველს“ ეცნობება წინასწარ, ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.

5.მომსახურების აუცილებელი საინსტალაციო სამუშაოები და მისი ღირებულება

„ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით „შემსყიდველი“ აცხადებს თანხმობას „მიმწოდებლის“ მიერ ჩასატარებელ ნებისმიერ საინსტალაციო სამუშაოებზე, რომლებიც აუცილებელია „მომსახურების“ მისაწოდებლად და „მიმწოდებელი“ იღებს უპირობო ვალდებულებას ნებისმიერი სახის მოთხოვნაზე, სარჩელზე ან/და სხვა სახის პრეტენზიაზე (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ პირების მოთხოვნებს ან/და პრეტენზიებს, რომელთა საკუთრებაზეც განხორციელდა ამგვარი საინსტალაციო სამუშაოები), რომელიც წამოყენებულ შეიძლება იქნას „მიმწოდებლის“ მიმართ საინსტალაციო სამუშაოების მიმდინარეობისას ან/და მის შემდგომ პერიოდში.

6. „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ ძირითადი ვალდებულებები, „მომსახურების“ მიღების/ცვლილების ძირითადი პირობები

6.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია/აცხადებს თანხმობას (კონტექსტის შესაბამისად):

6.1.1.სრულად და დადგენილ ვადაში გადაიხადოს „მომსახურების ღირებულება“;

6.1.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია ისარგებლოს დანართით განსაზღვრული მომსახურებით, რომლის მართვას ახორციელებს „მიმწოდებელი“. ხოლო სხვა საერთაშორისო და ფასიანი მომსახურების მიღებისათვის „შემსყიდველი“ ვალდებულია წერილობითი ფორმით მიმართოს „მიმწოდებელს“და მისი დადასტურების შემდეგ ისარგებლოს წერილში მოთხოვნილი დამატებითი მომსახურებით.

6.1.3.მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის გამოიყენოს საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებული „მომსახურება“ და არ დაუშვას „მიმწოდებლისაგან“ მიღებული „მომსახურების“ შემდგომი მიყიდვა/გადაცემა სხვა ნებისმიერ „მესამე პირზე“.

6.1.4.დაეთანხმოს (შემდგომი დამატებითი აქცეპტის ან/და თანხმობის გარეშე) „მიმწოდებლის“ მიერ მისთვის („შემსყიდველისათვის“) გამოყოფილი ნუმერაციის რესურსის ცვლილებას, თუკი ამგვარი ცვლილება გამოწვეულია/განპირობებულია „მიმწოდებლის“ ან/და სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული შესაბამისი აქტით, ხოლო თუ არ ეთანხმება აღნიშნულ ცვლილებებს, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ამავე „ხელშეკრულებისა“ და მისი დანართების პირობების შესაბამისად.

6.1.5. „შემსყიდველის“ შესახებ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას „მიმწოდებლის“ მიერ რეკლამის მისაწოდებლად და/ან სხვა კანონიერი მიზნებისათვის, „შემსყიდველის“ წინასწარ წერილობით თანხმობის შესაბამისად.

6.1.6.ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს „ხელშეკრულებით“ ან/და მისი დანართებით ნაკისრი ვალდებულებები.

6.6. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

7.6.1.აირჩიოს მისთვის სასურველი „მომსახურების სატარიფო გეგმა“ (პაკეტი) „ხელშეკრულების“ ან/და მისი დანართებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.6.2.შეატყობინოს „მიმწოდებელს“ ნებისმიერი დაზიანების შესახებ.

7.6.3 შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისიწინებულ პირობებთან. ასევე განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

7.6.4. მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია „მიმწოდებლის" მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ნა არაჯეროვანი შესრულებით;

7.6.5 მოსთხოვოს „მიმწოდებელს" ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

6.7. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

6.7.1. „შემსყიდველს" მიაწოდოს „ხარისხიანი მომსახურება" „ხელშეკრულებით" განსაზღვრული პირობების შესაბამისად, დღე-ღამის 24 საათის განმავლობაში უწყვეტად, გარდა გადაუდებელი სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების მიმდინარეობისა და „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული სხვა გამონაკლისებისა.

6.7.2.„ხელშეკრულებით" განსაზღვრული წესითა და ვადებში აღმოფხვრას „მომსახურებასთან" დაკავშირებული დაზიანება.

6.7.3.კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებები.

6.7.4.„ხელშეკრულების" მე-9 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების განხორციელების გზით, დადგენილი წესითა და ვადებში, გააფრთხილოს „შემსყიდველი" მომსახურების მოსალოდნელი (დაგეგმილი) შეზღუდვის ან/და „მიმწოდებლის" ინიციატივით მომსახურების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე.

6.7.5 „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას, რომ არ შეასრულოს ის მომსახურება, რომელიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულების შესაბამისი დანართში და რომელიც არ მოუთხოვია „შემსყიდველს"

6.7.6 შემდგომში ყოველგვარი ბუნდოვანებისა და გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად, წინამდებარე ხელშეკრულებით „მიმწოდებლის" მიერ „შემსყიდველსათვის" გამოყოფილ სატელეფონო ნომერზე გაწეული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება არ ჩაითვლება, „შემსყიდველისათვის" გაწეულ მომსახურებად იმ შემთხვევაში, თუკი მომსახურებით უშუალოდ მოსარგებლე პირს არ წარმოადგენს თავად „შემსყიდველი" და რომელიც არამართლზომიერად განხორციელდა „შემსყიდველის" ტერმინალური მოწყობილობით სარგებლობის შედეგად და ასევე თუკი არამართზომიერად განხორციელდა „შემსყიდველისაგან" დანართის გარეშე მოთხოვნილი დამატებთი მომსახურება.

7.ფორს-მაჟორი

„მხარეები" თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით ან გარემოებებით, რომელთა დადგომისას (არსებობისას) „მხარე", მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მოკლებული იყო შესაძლებლობას ჯეროვნად შეესრულებინა „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებები. აღნიშნულ დაუძლეველ გარემოებებს განეკუთვნება (მაგრამ არ შემოიფარგლება): ყველა სახის სტიქიური უბედურება მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი და სხვა, ეპიდემია, პანდემია, სამოქალაქო არეულობა, აჯანყება, გაფიცვა, საბოტაჟი, ბლოკადა, სამხარი მოქმედება, სამოქალაქო ომი, ომი, საჰაერო საგნის ზემოქმედება, საქართველოს კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებები, „მიმწოდებლის" ავარიული სიტუაცია, თუ ეს ავარიული სიტუაცია შეიქმნა „მიმწოდებლისაგან" დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ფორს-მაჟორული გარემოებები).

8.განცხადებები და გარანტიები

8.1. „ხელშეკრულებაზე" ხელმოწერით „შემსყიდველი" ადასტურებს, რომ მას გააჩნია სრული უფლებამოსილება მის სახელზე დარეგისტრირდეს (გაფორმდეს) „ხელშეკრულებით" განსაზღვრული ყველა „მომსახურება". ასევე „შემსყიდველი" აღიარებს და ადასტურებს, რომ მას მოპოვებული აქვს

ყველა საჭირო თანხმობა თუ ნებართვა, რომელიც აუცილებელია ამგვარი „მომსახურებების“ მის სახელზე დასარეგისტრირებლად (გასაფორმებლად).

8.2. „ხელშეკრულება“ მასში განსაზღვრული ვალდებულებებითა და უფლებებით ვრცელდება და სავალდებულოა შესასრულებლად „მხარეთა“ უფლებამონაცვლეებისა თუ მემკვიდრეებისათვის/ სამართალმემკვიდრეებისათვის.

8.3. „შემსყიდველს“ უფლება არა აქვს „მიმწოდებლის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე „მესამე პირს“ გადასცეს ან გადააბაროს მასზე „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება (გარდა„შემსყიდველის“ მიერ სააბონენტო თანხის გადახდის ვალდებულებისა).

8.4. „მიმწოდებლის“ უარი გამორიცხავს ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად, ამ წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა "კანონმდებლობით" ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან, ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ „შემსყიდველმა“ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს „მიმწოდებლის“ უფლებას, მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება, მიუხედავად იმისა, თანახმაა თუ არა „შემსყიდველი“.

8.5. „მხარეები“ ადასტურებენ, რომ „ხელშეკრულების“ შინაარსი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა "ხელშეკრულების" შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

8.6. მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ მათ ჩაბარდა ხელშეკრულება მისი დანართებითურთ და ეთანხმებიან „ხელშეკრულებითა“ და მისი დანართებით გათვალისწინებულ წესსა და პირობებს. მხარეები ასევე აცხადებენ თახმობას, რომ ხელს მოაწერს „ხელშეკრულებით“ განსაზღვრულ დოკუმენტებს (მათ შორის დანართებს, „ტექნიკური საშუალებების“ „მიმწოდებლისაგან“ მიღების და უკან დაბრუნების მიღება-ჩაბარების აქტს) და შეასრულებენ მათ პირობებს;

8.7. „შემსყიდველის“ მიერ „აქციის“ პირობებზე თანხმობის შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს. აქციის პირობებზე თანხმობის განხორციელება ასევე შესაძლებელია „შემსყიდველის“ მიერ სატელეფონო დარეკვითა და „მიმწოდებლის“ ვებ-გვერდზე შესაბამისი დადასტურებით.

8.8. მხარეები თანხმდებიან, რომ „ხელშეკრულების“ პირობებსა და დანართების პირობებს შორის სხვაობისას, უპირატესობა ენიჭება დანართის პირობებს.

8.9. თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული „მომსახურების“ შესაბამისი დანართის პირობებით („ხელშეკრულებით“ ან/და დანართებით), „ხელშეკრულების“ გაფორმებით „შემსყიდველი“ ყიდულობს „მომსახურებას“ და მას საკუთრებაში არ გადაეცემა რაიმე „ტექნიკური საშუალებები“ ან/და ნივთი, მათ შორის, ნუმერაციის რესურსი (სატელეფონო ნომერი), რომლის სარგებლობის უფლების მინიჭებაც ხდება „შემსყიდველისათვის“ (ამგვარის არსებობის შემთხვევაში);

8.10. მხარეები ადასტურებენ, რომ, „მიმწოდებლისაგან“„შემსყიდველის“ მიერ მოთხოვნილი და „ხელშეკრულების“ დანართებში ასახული სატელეკომუნიკაციო სერვისის ინსტალაციასთან დაკავშირებული მომსახურება სრულად და ჯეროვნად მიიღების ფაქტი დამატებით ფორმდება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტი.

8.11. ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, „მხარეები“ აცხადებენ და ადასტურებენ, რომ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ნებისმიერი პირგასამტეხლოს ან/და ჯარიმის მეორე (დამრღვევი) „მხარისათვის“ დაკისრება წარმოადგენს შესაბამისი (არადამრღვევი) „მხარის“ უფლებას და არა ვალდებულებას.

8.12. მხარეები აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის მისი რეკვიზიტები, სწორია.

8.13 მხარეები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აცნობოს რეკვიზიტების ცვლილების შესახებ ერთმანეთს არაუგვიანეს სამუშაო დღის განმავლობაში ამავე ხელშეკრულების მე-10 მუხლის

განსაზღვრული წესების შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარე იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას მისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების შედეგად წარმოშობილ ნებისმიერი სახის შესაძლო ზიანსა თუ ზარალზე.

8.14. „ხელშეკრულებით" განსაზღვრული მომსახურების გააქტიურება მოხდება „ხელშეკრულების" ხელმოწერისა და ტექნიკური სამუშაოების დასრულების დღიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

9.კომუნიკაცია მხარეებს შორის

9.1.მხარეებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება „მიმწოდებლის" ვებ–გვერდის საშუალებით: info@myfhone.ge, ელექტრონული ფოსტის, წერილობითი შეტყობინების გაგზავნით „ხელშეკრულებაში" მითითებულ მისამართზე,
სატელეფონო ცხელ ხაზზე: 2421717 დარეკვით.

9.2. ელექტრონული ხელმოწერა:

9.2.1.„მხარეები" „ხელშეკრულებაზე" ხელმოწერით თანხმდებიან, რომ „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მათთვის „ელექტრონულ ხელმოწერას" აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

10. კონფიდენციალურობა

10.1."მხარეები" ვალდებული არიან „ხელშეკრულების" და „მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების" მოქმედების პერიოდში დაიცვან მეორე „მხარისაგან" მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა („ხელშეკრულების" 6.1.5 ქვეპუნქტის გთვალისწინებით).

10.2.კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას:

10.2.1.რომელიც „კანონმდებლობის" დარღვევის გარეშე იყო ცნობილი ინფორმაციის მიმღები „მხარისათვის" მეორე „მხარის" მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;

10.2.2.რომლის გამჟღავნებაც მოხდება „მხარეთა" მიერ „კანონმდებლობის" მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად (მათ შორის, რომელიმე მხარის მიერ სასამართლო წესით მისი უფლებების განსახორციელებლად);

10.2.3.რომელიც არის, ან გახდება „მესამე პირისათვის" ხელმისაწვდომი „მხარეთა" წერილობითი შეთანხმებით, ან მათგან დამოუკიდებლად.

10.3.მიუხედავად „ხელშეკრულების" მე-12 მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვისა, „შემსყიდველი" „მიმწოდებელს" ანიჭებს უპირობო უფლებას, „შემსყიდველის" დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე:

10.3.1. „შემსყიდველის" შესახებ ინფორმაცია გადასცეს მის „შვილობილ კომპანიებს" ან სხვა აფილირებულ პირებს „შემსყიდველისათვის" სხვადასხვა ტიპის მომსახურების შეთავაზების მიზნით, იმ პირობით და იმის გათვალისწინებით, რომ:

10.3.2.ამგვარი ინფორმაცია შემოიფარგლება მხოლოდ იმ ინფორმაციით, რაც აუცილებელია ამგვარი მომსახურების შესათავაზებლად ან/და „ხელშეკრულებით" განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად;

10.3.3. ინფორმაციის მიმღები პირები დაიცავენ ზემოაღნიშნულ დებულებებს ინფორმაციის კონფიდენციალობასთან დაკავშირებით.

10.4. „შემსყიდველის" შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს „მესამე პირებს" „შემსყიდველის" მიერ „ხელშეკრულების" პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად „მიმწოდებლის" უფლებების განხორციელების მიზნით, ან/და „შემსყიდველის" შესრულებაზე მონიტორინგისათვის.

12.5. მხარეები თანხმდებიან, რომ „აბონენტის პერსონალური კოდი" და „პინ კოდი" წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომლის გადაცემა–დაცვაზეც პასუხისმგებელია ორივე მხარე.

11. პრეტენზიები და დავები

11.1.„ხელშეკრულებიდან" ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებიდან გამომდინარე პრეტენზიები „მხარეებმა" შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობითი ფორმით.

11.2. ხელშეკრულების ან/ და მასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი დავა, რომელიც ვრცელდება ხელშეკრულების მოქმედებასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით წყდება მხარეთა შორის ურთიერთშეთანმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება მხარეთათვის კანონმდებლობით მინიჭებული წესით.
11.3. დავის მორიგების გზით მოუგვარებლობის შემთხვევაში, „მხარეები" მიმართავენ სასამართლოს ან/და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას.
11.4. დავის წარმოშობის შემთხვევაში გადასახდელი დავალიანების გადახდის ვალდებულება ჩერდება დავის საბოლოოდ გადაწყვეტამდე.

12.„ხელშეკრულების" შეწყვეტა

12.1. „ხელშეკრულება" შესაძლებელია შეწყდეს:
12.1.1.მხარეთა შეთანხმებით;
12.1.2. „მიმწოდებლის" ინიციატივით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგ შემთხვევებში:
12.1.2.1. „შემსყიდველის" მიერ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში;
12.1.2.2. „შემსყიდველისათვის" შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური შეტყობინების გაგზავნიდან 60 (სამოცი) დღის შემდეგ – სატელეფონო მომსახურებისას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებაში ცვლილებების/დამატებების ცალმხრივად შეტანის თაობაზე „შემსყიდველისათვის" ინდივიდუალური შეტყობინების გაგზავნისას საამისოდ დადგენილ ვადაში „შემსყიდველის" მიერ ცვლილებაზე/დამატებაზე უარის დაფიქსირებისას.
12.1.2.3. „შემსყიდველის" მიერ „მიმწოდებლისათვის" გადასახდელი ნებისმიერი თანხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის ან „ხელშეკრულებით" ან/და მისი დანართებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში, „მიმწოდებელი" უფლებამოსილია შეუზღუდოს ან/და შეუწყვიტოს „შემსყიდველს" მიწოდებული ყველა ის „მომსახურება", რომლის მიწოდებაც „შემსყიდველისათვის" ხორციელდება. მომსახურების გადაუხდელობით განხორციელებული შეზღუდვა მოიხსნება მომსახურების საფასურის „მიმწოდებლის" ანგარიშზე ჩარიცხვის დღიდან.
12.1.3. **„შემსყიდველის" ინიციატივით** „ხელშეკრულება" შესაძლებელია შეწყდეს მიწოდებული „მომსახურების" სანაცვლოდ გადასახდელი თანხის დაფარვის და სხვა არსებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისა და „მიმწოდებლისათვის" შეწყვეტის შესახებ წერილობითი მიმართვით.
12..2 . „მიმწოდებლის" მიერ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში;
12.3 იმ შემთხვევაში თუ კი „მიმწოდებლის" მიერ არ მოხდა ტექნიკური ხარვეზის დროულად და შესაბამის ვადებში აღმოფხვრა „შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ცალმხრივად წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც განხორციელდება წინასწარი წერილობითი შეტყობინების გზით.
12.3 მე-4 მუხლის 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დაზიანების აღმოფხვრის შემთხვევაში თუ ის აღემატება 10 კალენდარულ დღეს მაშინ აბონეტი უფლებამოსილია ცალმხრივად წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.
12.3. „შემსყიდველის" გარდაცვალების/ ლიკვიდაციის დამადასტურებელი ცნობის „მიმწოდებლის" მიერ მოპოვების /„მიმწოდებლისათვის" წარმოდგენის დღიდან, „მიმწოდებელი" უფლებამოსილია შეწყვიტოს სააბონენტო ხელშეკრულება ან გადააფორმოს შესაბამისი მომსახურებ(ებ)ა უპირატესი უფლება–ვალდებულებების მქონე მესამე პირზე (რამდენიმე ასეთი პირის არსებობისას – ერთ–ერთის მომართვისთანავე).
ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.1.2.2 ქვეპუნქტისა და 12.1.3 ქვეპუნქტით ხელშეკრულების შეწყვეტის შემტხვევაში „შემსყიდველს" არ ეკისრება კომესაციისა და აქედან გამომდინარე ზიანის

ანაზღაურება. ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ შეწყვეტამდე მიღებული მომსახურების საფასური.

13.ცვლილებები და დამატებები

13.1. მხარის ინიციატივით ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება წერილობით ფორმით.

13.2. „მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველს" ინდივიდუალური შეტყობინებით მიაწოდოს ინფორმაცია, მომსახურების პირობების იმგვარი ცვლილების შესახებ, რაც ზრდის მომხმარებელზე დაკისრებული ვალდებულებების მოცულობას ან/და იმგვარად ცვლის მომსახურების პირობებს, რომ აღნიშნულს შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე მომსახურების მიღების გაგრძელების თაობაზე.

13.3.„ხელშეკრულებაში" შეტანილი ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

14. ზიანის ანაზღაურება და კომპენსაციის მექანიზმები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისა თუ არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.1.1 „მიმწოდებელი" პასუხ არ აგებს „შემსყიდველის" მიერ ქსელში გადაცემულ ინფორმაციაზე;

14.1.2. „მიმწოდებელი" პასუხს არ აგებს „მომსახურების" ხარისხზე, თუ ხარვეზი გამოწვეულია პროგრამული ვირუსით ან „შემსყიდველის" ლოკალური ქსელის გაუმართაობით. ეს უკანასკნელი გულისხმობს „სადემარკაციო წერტილიდან" „შემსყიდველის" მხარეს არსებულ დაზიანებას.

14.2. „შემსყიდველი" აცხადებს თანხმობას, რომ „მიმწოდებელი" უფლებამოსილია ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით მიაწოდოს ინფორმაცია ახალი მომსახურებების, სერვისების, პროექტების და სხვადასხვა სახის აქტივობების შესახებ, მათ შორის, როგორც „მიმწოდებლის", ასევე მესამე პირის „რეკლამა", რაც არ გამორიცხავს „შემსყიდველის" უფლებას, უარი განაცხადოს ასეთი რეკლამის მიღებაზე, შესაბამისი განაცხადით.

14.3.თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული „ხელშეკრულებით", შესაბამისი „მომსახურების" პირობები ვრცელდება მხოლოდ იმ „მომსახურებაზე", რომლის დებულებებშიც არის მოცემული ამგვარი პირობები და არ ატარებს ზოგად ხასიათს.

14.4. „შემსყიდველი" უფლებამოსილია მოითხოვოს პირდაპირი ზიანის (ზარალის) ანაზღაურება, თუ ასეთი გამოწვეულია „მიმწოდებლის" ბრალით ან დაუდევრობით. ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც „მიმწოდებლისათვის" წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამასთან, ზიანი დადასტურებულ უნდა იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. „მიმწოდებლის" მხრიდან ანაზღაურებას არ ექვემდებარება არაპირდაპირი ზიანის კომპენსაცია, როგორიცაა, მაგ: მიუღებელი შემოსავალი ან სხვა შედეგობრივი დანაკარგი.

14.5. „მიმწოდებელი" არ არის პასუხისმგებელი ზარალზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა „შემსყიდველის" მიერ მონაცემთა შინაარსის ან სხვა ინფორმაციის გადაცემისას „მომსახურებით" სარგებლობის პროცესში. გარდა ამისა, „მიმწოდებელი" შეუძლებელია პასუხისმგებელი იყოს ნებისმიერ ისეთ ზარალზე, რომელიც გამოწვეულია მონაცემთა ვირუსის, დაგვიანებით გადაცემის, განადგურების ან „შემსყიდველის" მონაცემთა დაკარგვის შედეგად, ასევე „შემსყიდველის" ბრალით მესამე პირისათვის მიყენებული ზარალის შემთხვევებზე.

14.7. „მიმწოდებელი" ვალდებულია „ხელშეკრულებით" განსაზღვრული მომსახურების არასრულად ან/და ხარვეზებით მიწოდების შემთხვევაში, „შემსყიდველის" განცხადებისა და მის საფუძველზე „მიმწოდებლის" მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, უზრუნველყოს მიუწოდებელი მომსახურების საფასურის გამოქვითვა „შემსყიდველის" მიერ გადასახდელი მომდევნო თვის საფასურიდან, ან ამ თანხის „შემსყიდველისათვის" უკან დაბრუნება, იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი" „ხელშეკრულებით" განსაზღვრული მომსახურების არასრულად მიწოდების მიზეზით შეწყვეტს „ხელშეკრულებას".

14.8 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში „შემსყიდველს" ოპერატორის გადაწყვეტილებით შეიძლება დაეკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,01%-ის ოდენობით, რომლის ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადასახდელი თანხის 20%-ს (პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობის შეზღუდვა მოქმედებს მანამ ვიდრე ის გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით). ამასთან პირგასმტეხლოს დარიცხვა და მისი გადახდა არ ათავისუფლებს „შემსყიდველს" ძირითადი ფულადი ვალდებულების შესრულებისაგან.

14.9 ხელშეკრულების ვალდებულების არასრული ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის „მიმწოდებლის" დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულების 5%-ის ოდენობით..

15 ხელშეკრულების ისპექტირების პიროებები

15.1 „შემსყიდველი" უფლებამოსილია აწარმოოს გაწეული მომსახურების მოცულობისა და ხარისხის ინსპექტირება;

15.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული პიროებების კონტროლს განახორციელებს შპს „თბილსერვის ჯგუფის" საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მარშუტების მართვის განყოფილება;

15.3 „მიმწოდებლის" შერჩევის ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი პირების ხელწერილი ინტერესტა კომფლიკტში არ არსებობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის;

15.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასტან ხელახალ ინსპექტირებასტან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებლის" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

16. დამატებითი პირობები

16.1. „ხელშეკრულების" შესრულების ვადაა 2017 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

16.2. „ხელშეკრულების" მოქმედების ვადაა 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით, „შემსყიდველი", „ხელშეკრულების" ცალმხრივად შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში, ვალდებულია წერილობით მიმართოს „მიმწოდებელს" და მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა ამავე „ხელშეკრულების" პირობათა შესაბამისად. ამასთან, „შემსყიდველი" ვალდებულია, მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში, სრულად დაფაროს „ხელშეკრულების" შეწყვეტის დღისთვის „მიმწოდებლის" წინაშე „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული მომსახურების შედეგად წარმოქმნილი ნებისმიერი გადასახდელი თანხა თუ დავალიანება ასეთის არსებობის შემთხვევაში.

16.3. „ხელშეკრულების" რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად „ხელშეკრულების" ან/და მისი სხვა ცალკეული მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა "ხელშეკრულებით" (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

16.4. „ხელშეკრულებაში" მხოლობით რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობითს და პირიქით.

16.5. „ხელშეკრულების" მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების" ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავემუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის) შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლები (პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი;

16.6. „ხელშეკრულების" ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, „მხარეთა" მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების" შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა/ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების"

სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსთან (განმარტებასთან) დაკავშირებით, არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

16.7.„ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით „შემსყიდველი“ თანახმაა მის სახელზე დარეგისტრირდეს/გაფორმდეს ამ „ხელშეკრულებითა“ და დანართებით განსაზღვრული „მომსახურება“. „შემსყიდველი“ ასევე აცხადებს, რომ მას გააჩნია კანონიერი უფლებამოსილება (ნებართვა/თანხმობა), რაც აუცილებელია ამგვარი „მომსახურების“ მის სახელზე მისაღებად.

16.8 ურთიერთობები, რომლებიც არ არის დარეგულირებული „ხელშეკრულებით“ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.9.ყველა პირობა, მხარეთა უფლება-მოვალეობანი და სხვა დებულებები, რაც არ არის გათვალისწინებული „ხელშეკრულებით“, ასევე მომსახურების სახეები, ტარიფები, შეზღუდვის, შეწყვეტისა და აღდგენის პირობები, დამატებითი მომსახურების სახეები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრულია კონკრეტული სახის „მომსახურების“ შესაბამისი დანართებით.

16.10. „ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ ენაზე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ „მხარეებს“.

მხარეთა რეკვიზიტები

შპს „თბილსერვის ჯგუფი“	შპს „მაიფონი“
მის: ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი 67	მის: ქ. თბილისი ჭავჭავაძის 23/23ა
ს/ნ 206267494	ს/ნ 205270473
სს „ლიბერთი ბანკი“	ტელ: 244 17 17, 591699399
ცენტრალური ფილიალი	სს „ლიბერთი ბანკი“
კოდი: LBRTGE22	კოდი: LBRTGE22
ანგ. N: GE90LB0113172770216000	ანგ. N: GE72LB0113126280222000

„შემსყიდველი“	**„მიმწოდებელი“**
შპს „თბილსერვის ჯგუფი“	შპს „მაიფონი“
დირექტორი	დირექტორი
ლ. ჯღარკავა	ქ. ჩლაიძე

დანართი №1

4256-10-494

1	2159201	სტანდარტული sip trank
2	2159202	სტანდარტული sip trank
3	2159203	სტანდარტული sip trank
4	2159204	სტანდარტული sip trank
5	2159205	სტანდარტული sip trank
6	2159206	სტანდარტული sip trank
7	2159207	სტანდარტული sip trank
8	2159208	სტანდარტული sip trank
9	2159209	სტანდარტული sip trank
10	2159210	სტანდარტული sip trank
11	2159211	სტანდარტული sip trank
12	2159213	სტანდარტული sip trank
13	2159214	სტანდარტული sip trank
14	2159216	სტანდარტული sip trank
15	2159217	სტანდარტული sip trank
16	2159218	სტანდარტული sip trank
17	2159220	სტანდარტული sip trank
18	2159221	სტანდარტული sip trank
19	2159223	სტანდარტული sip trank
20	2159224	სტანდარტული sip trank
21	2159225	სტანდარტული sip trank
22	2159226	სტანდარტული sip trank
23	2159227	სტანდარტული sip trank
24	2159228	სტანდარტული sip trank
25	2159229	სტანდარტული sip trank
26	2159231	სტანდარტული sip trank
27	2159232	სტანდარტული sip trank
28	2159233	სტანდარტული sip trank
29	2159234	სტანდარტული sip trank
30	2159236	სტანდარტული sip trank
31	2611810	სტანდარტული sip trank
32	2611811	სტანდარტული sip trank
33	2611812	სტანდარტული sip trank
34	2611813	სტანდარტული sip trank
35	2611814	სტანდარტული sip trank
36	2611815	სტანდარტული sip trank
37	2611816	სტანდარტული sip trank
38	2611824	სტანდარტული sip trank
39	2611827	სტანდარტული sip trank
40	2611830	სტანდარტული sip trank
41	2611831	სტანდარტული sip trank

42	2611832	სტანდარტული sip trank
43	2611835	სტანდარტული sip trank
44	2611837	სტანდარტული sip trank
45	2611839	სტანდარტული sip trank
46	2611841	სტანდარტული sip trank
47	2611850	სტანდარტული sip trank
48	2611851	სტანდარტული sip trank
49	2611856	სტანდარტული sip trank
50	2611857	სტანდარტული sip trank
51	2611860	სტანდარტული sip trank
52	2611862	სტანდარტული sip trank
53	2611865	სტანდარტული sip trank
54	2611870	სტანდარტული sip trank
55	2611872	სტანდარტული sip trank
56	2611879	სტანდარტული sip trank
57	2611882	სტანდარტული sip trank
58	2611883	სტანდარტული sip trank
59	2611884	სტანდარტული sip trank
60	2611889	სტანდარტული sip trank
61	2611895	სტანდარტული sip trank
62	2611896	სტანდარტული sip trank
63	2611903	სტანდარტული sip trank
64	2611904	სტანდარტული sip trank
65	2611905	სტანდარტული sip trank
66	2611906	სტანდარტული sip trank
67	2611910	სტანდარტული sip trank
68	2611912	სტანდარტული sip trank
69	2611913	სტანდარტული sip trank
70	2611914	სტანდარტული sip trank
71	2611916	სტანდარტული sip trank
72	2611917	სტანდარტული sip trank
73	2611918	სტანდარტული sip trank
74	2611923	სტანდარტული sip trank
75	2611924	სტანდარტული sip trank
76	2611926	სტანდარტული sip trank
77	2611927	სტანდარტული sip trank
78	2611932	სტანდარტული sip trank
79	2611935	სტანდარტული sip trank
80	2611937	სტანდარტული sip trank
81	2619050	სტანდარტული sip trank
82	2997575	სტანდარტული sip trank
83	2548337	სტანდარტული sip trank
84	2990660	სტანდარტული sip trank
85	2548348	სტანდარტული sip trank
86	2548775	სტანდარტული sip trank

შპს მაიფონი აბონენტს გაუწევს შემდგომი სახის მომსახურებას:

- PBX- სატელეფონო სისტემის უფასო ინსტალაცია და შემდგომი მომსახურება.
- მრავალზახიანი გარე ნომერი დამატებითი შენაძენებისა და გაყვანილობების გარეშე
- დაშორებული ოფისების დაკავშირება
- ბილინგის და ხარჯების კონტროლი რეალურ დროში
- ორგანიზაციის თანამშრომლების პირადი შიდა ნომრები
- თანამშრომელთა ჯგუფების და შემომავალი ზარების დანაწილება
- განსაკუთრებული გადამისამართების წესები სამუშაო საათების მიხედვით
- IVR ინტერაქტიული მენიუ / მოლოდინის რეჟიმი
- შემომავალი ზარების მიღება ერთდროულად რამდენიმე მოწყობილობაზე
- საუბრის ჩაწერა ხმოვან ფაილად
- ზარის გადამისამართება შიდა ნომერზე
- შიდა ნომრის მიხედვით გამავალი ან შემომავალი ზარის შეზღუდვა

ტარიფები:

ფასები მოცემულია ლარებში და შეიცავს დღგ-ს

საქართველოს ფიქსირებული ქსელი (რეგიონი)	0.06
საქართველოს ფიქსირებული ქსელი (თბილისი)	0.04
სააბონენტო	0

ბონუსის სახით, აბონენტს ანგარიშზე დაერიცხება, ყოველ შემომავალ წუთზე ერთი თეთრი.

„შემსყიდველი“

შპს „თბილსერვის ჯგუფი“
დირექტორი
ლ. ჯღარკავა

„მიმწოდებელი“

შპს „მაიფონი“
დირექტორი
ქ. ჩლაიძე

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 30 დეკემბერი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი გადაცემულებთ, რომ შპს "თბილსერვის ჯგუფი"-ს მიერ 10 ერთეულ კომპიუტერზე საკანონმდებლო აქტების კომპიუტერული პროგრამა „ეიდექსი 2007"-ის ინსტალაციის და მისი ყოველკვირეული განახლების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით შ.პ.ს. „Georgia Micro system"-თან 2016 წლის 30 დეკემბერს ხელშეკრულების 4256-10-493 გაფორმებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორი

ლევან ჯღარკავა –

შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფის" შესყიდვების სამსახურის უფროსი

გერონტი დარსალია –

შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფის" საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მარკეტინგის სამსახურის უფროსი

ზურაბ რევაზიშვილი -